სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ

ნოე ქაშიბაძე

10.05.2013 წელი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ფინანსური აუდიტის ანგარიში №6/129

(01.01.2012-01.01.2013)

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს

სახელმწიფო აუდიტის სამსახური №8 STATE AUDIT OFFICE OF GEORGIA

შინაარსი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორთა დასკვნა....3

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები....4

ფორმა N1 - ბალანსი....5

ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით....6

ფორმა N2.1 - ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ....7

ფორმა N3 - ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ....8

ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ....9

ფორმა N6 - ანგარიში ავტომანქანების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.10

ბუღალტრული ანგარიშგების შენიშვნები .....ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.

1. ზოგადი ინფორმაცია....11
2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები....122
3. მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით....12
4. ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები....12
5. შენობა-ნაგებობები....12
6. მივლინების ხარჯები....13
7. სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების განხორციელება....13

სახელმწიფო აუდიტის სამსახური STATE AUDIT OFFICE № 8

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს (შემდეგში სამინისტრო) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსს 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშგებებს: ანგარიშს ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, ანგარიშს წმინდა ღირებულების შესახებ, ანგარიშს არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიშს არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ და ანგარიშს ავტომანქანების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

სამინისტროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიანად წარდგენაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და„ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანების შესაბამისად.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით, ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებული ქნას დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამინისტროს ფინანსური

№ 8
STATE AUDIT OFFICE OF GEORGIA

ანგარიშგების მომზადებისთვის, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობ სხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

გვჯერა, ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია უპირობო აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

უპირობო მოსაზრება

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი 2012 წლის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ფინანსური ანგარიშგება მთლიანად მომზადებულია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით და ყველა მნიშვნელოვანი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ფინანსურ მდგომარეობას 2012 წლის 31 დეკემბრისათვის.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

დასკვნის საფუძვლებში წარმოდგენილი საკითხების გარდა გვსურს, ყურადღება გავამახვილოთ შემდეგზე:

სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების განხორციელება

განსახორციელებელი პროგრამების გეგმის პროექტის შემუშავების დროს არ იყო სრულად გათვალისწინებული ყველა პროგრამის/ქვეპროგრამის განხორციელების აუცილებლობა და შესაძლებლობა; აღნიშნულზე მიუთითებს ის გარემოება, რომ 2012 წლის განმავლობაში შეწყვეტილ იქნა და არ შესრულდა ან ნაწილობრივ არის შესრულებული 6 ქვეპროგრამა, რომელთა თავდაპირველი დამტკიცებული გეგმა შეადგენდა სულ 23,574.00 ლარს.

მივლინების ხარჯების ანაზღაურება

ქვეყნის ფარგლებს გარეთ (უკრაინა) მივლინებისას სამინისტროს მუშაკზე (თეონა ბიბლაია) სრულადაა ანაზღაურებული დღიური ნორმა სულ 861.00 ლარი; მივლინებულის კვებას უზრუნველყოფდა მომწვევი მხარე. საქართველოს პრეზიდენტის 20.04.2005 წლის N231ბრძანებულებით დამტკიცებული მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესის მე-11 პუნქტის თანახმად, თუ ქვეყნის ფარგლებს გარეთ მოსამსახურის მივლინებას მიმღები მხარე უზრუნველყოფს კვების ხარჯებით,

მოსამსახურეს უნდა ანაზღაურებოდა სადღეღამისო ნორმის მხოლოდ 30%, კერძოდ (861X30%) 258.30 ლარი ანუ ზედმეტადაა ანაზღაურებული 602.70 ლარი.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო

ფორმა N1 - ბალანსი

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს

დასახელება	განმარტება	31/12/2011	31/12/2012
აქტივები			
I. ფინანსურიაქტივებიდა მოთხოვნები			
მოთხოვნები წინსწარი გადახდებით		279	160
მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	3	11,041	11,041
ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები	4		2,115
II. არაფინანსური აქტივები			
სხვამატერიალურიმარაგები		5,665	64
შენობა-ნაგებობები	5		233,972
მანქანადანადგარებიდაინვენტარი		90,314	73,462
სხვა ძირითადი აქტივები		11,045	12,465
ფასეულობები		9,305	9,305
ბალანსი		**127,649**	**342,584**
ვალდებულებებიდაკაპიტალი			
I.ვალდებულებები			
მომსახურების მიწოდებით დარიცხული ვალდებულებები		2,400	
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი		600	
ვალდებულებები დეპონენტების მიმართ		646	646
II. კაპიტალი			
წმინდაღირებულება		124,003	342,939
ბალანსი		**127,649**	**342,584**
III.საცნობარო მუხლები:			
ამორტიზებული ძირითადი აქტივები		57,186	59,598
ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი		42,587	47,587

მინისტრი _____ თეიმურაზ მაისურაძე

მთავარი ბუღალტერი _____ თემურ ურიდია

სახელმწიფო აუდიტის სამსახური № 8 STATE AUDIT OFFICE OF GEORGIA

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო

ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს

ხარჯების ჩამონათვალი	განმარტება	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასოხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის (7-6)
1		2	3	4	5	6	7	8
1.ხარჯები		1,240,535	1,298,335	1,270,838	1,270,838	1,270,838	1,313,123	42,285
1.1 შრომის ანაზღაურება		505,030	550,507	548,732	548,732	548,732	548,732	
1.1.1.1 თანამდებობრივი სარგო		*462,120*	*472,197*	*470,427*	*470,427*	*470,427*	*470,427*	
1.1.1.3 პრემია		*41,110*	*76,510*	*76,510*	*76,510*	*76,510*	*76,510*	
1.1.1.4 დანამატი		*1,800*	*1,800*	*1,795*	*1,795*	*1,795*	*1,795*	
1.2 საქონელი და მომსახურება		151,225	160,545	140,104	140,104	140,104	143,708	3,605
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება		*34,200*	*37,120*	*37,113*	*37,113*	*37,113*	*37,113*	
მივლინებები	*6*	*21,100*	*20,120*	*14,871*	*14,871*	*14,871*	*14,871*	
ოფისისხარჯები		*64,725*	*69,525*	*59,787*	*59,787*	*59,787*	*64,441*	*4,654*
წარმომადგენლობითი ხარჯები		*2,500*	*2,500*	*1,683*	*1,683*	*1,683*	*1,683*	
ტრანსპორტ. და ტექნ. ქსპლ. და მოვლა-შენახვა		*23,200*	*27,600*	*24,545*	*24,545*	*24,545*	*23,496*	*-1,049*
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება		*5,500*	*3,680*	*2,105*	*2,105*	*2,105*	*2,105*	
1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება		-	-	-	-	-	38,680	38,680
1.4 პროცენტი		-	-	-	-	-	-	-
1.5 სუბსიდიები	7	485,340	484,440	479,229	479,229	479,229	479,229	
1.6 გრანტები		-	-	-	-	-	-	-
1.7 სოციალური უზრუნველყოფა		97,440	101,343	101,343	101,343	101,343	101,343	
სოციალური დახმარება	*7*	*97,440*	*97,940*	*97,940*	*97,940*	*97,940*	*97,940*	-
დამქირავებლის მიერ გაწეული სოც. დახმ.		-	*3,403*	*3,403*	*3,403*	*3,403*	*3,403*	-
1.8 სხვა ხარჯები		1,500	1,500	1,431	1,431	1,431	1,431	

მინისტრი _____ თეიმურაზ მაისურაძე

მთავარი ბუღალტერი _____ თემურ ურიდია

სახელმწიფო აუდიტის სამსახური № 8 STATE AUDIT OFFICE OF GEORGIA

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო

ფორმა N2.1 - ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს

არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	განმარტება	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
1.არაფინანსური აქტივები		3,000	6,900	6,533	6,533	6,533
1.1 ძირითადი აქტივები		3,000	6,900	6,533	6,533	6,533
1.1.1 შენობა-ნაგებობები						
1.1.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი		3,000	3,900	3,533	3,533	3,533
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი		*3,000*	*3,900*	*3,533*	*3,533*	*3,533*
1.1.3 სხვა ძირითადი აქტივები		0	3,000	3,000	3,000	3,000
არამატერიალური ძირითადი აქტივები		*0*	*3,000*	*3,000*	*3,000*	*3,000*
1.2 მატერიალური მარაგები		-	-	-	-	-
1.3 ფასეულობები		-	-	-	-	-
1.4 არაწარმოებული აქტივები		-	-	-	-	-

მინისტრი _____ თეიმურაზ მაისურაძე

მთავარი ბუღალტერი _____ თემურ ურიდია

სახელმწიფო აუდიტის სამსახური № 8 STATE AUDIT OFFICE OF GEORGIA

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო

ფორმა N3 - ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს

წმინდაღირებულება 31/12/2011	124,003
დებეტი	
მომუშავეთაანაზღაურება	(548,732)
საქონელიდამომსახურება	(143,708)
ძირითადიკაპიტალისმოხმარება	(40,260)
მ.შ.ფიზიკურიცვეთა	*(38,680)*
სუბსიდიები	(479,229)
სოციალური უზრუნველყოფა	(101,343)
სხვა ხარჯები	(1,431)
აქტივების,ვალდებულებების უსასყიდლოდ გასვლა	(1,180)
არაფინანსური აქტივები	*(1,180)*
სხვა ეკონომიკური ნაკადები	(859)
სულსადებეტობრუნვა	(1,316,741)
კრედიტი	
ბიუჯეტიდანმიღებულიდაფინანსება	1,280,371
აქტივების, ვალდებულებების უსასყიდლოდ მიღება	254,306
არაფინანსურიაქტივები	*254,306*
სულსაკრედიტობრუნვა	1,534,677
წმინდაღირებულებისცვლილება	(217,936)
წმინდაღირებულება 31/12/2012	341,939

მინისტრი _____ თეიმურაზ მაისურაძე

მთავარი ბუღალტერი _____ თემურ ურიდია

სახელმწიფო აუდიტის სამსახური № 8 STATE AUDIT OFFICE OF GEORGIA

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო

ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს

არაფინანსური აქტივების დასახელება	ნაშთი წლის დასაწყისისთვის	მ ი ღ ე ბ ა		გ ა ს ვ ლ ა				ნაშთი წლის ბოლოს
		შესყიდვით	იმავე დონის სახელმწიფო ერთეულიდან ესასყიდლად	იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებზე ესასყიდლად	სხვა ეკ. ნაკადებით	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	საქონელი და მომსახურება	
1. მატერიალურიმარაგები	5,665	32,493					35,978	2,179
2. ძირითადი აქტივები	101,359	6,533	254,306	1,180	859	40,260		319,899
შენობა-ნაგებობები			243,690			9,718		233,972
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	90,314	3,533	10,616	1,180	859	28,962		73,462
სატრანსპორტო საშუალებები	*53,728*					*9,511*		*44,217*
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	*36,586*	*3,533*	*10,616*	*1,180*	*859*	*19,451*		*29,245*
სხვა ძირითადი აქტივები	11,045	3,000				1,580		12,465
არამატერიალური ძირითადი აქტივები	*11,045*	*3,000*				*1,580*		*12,465*
3. გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები		5,140					5,095	
4. ფასეულობები	9,035							9,305

მინისტრი _____ თეიმურაზ მაისურაძე

მთავარი ბუღალტერი _____ თემურ ურიდია

№ 8

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო

ფორმა N6 - ანგარიში ავტომანქანების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს

	მაჩვენებელთა დასახელება	საანგარიშო პერიოდის დასაწყისში (რაოდენობა)		საანგარიშო პერიოდში მიღება (რაოდენობა)		საანგარიშო პერიოდში გასვლა (რაოდენობა)		საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (საკასო)				საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (ფაქტიური)			
		მუშა მდგომარეობაში	არამუშამდგომარეობაში	შეძენა	სხვა სახით მიღება	ექსპლუატაციიდან გასული	სხვა სახით გასული	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ. სათადარიგო ნაწილები	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ. სათადარიგო ნაწილები
1	სატრანსპორტო საშუალება სულ:	3						24,150	1,262	20,114	2,773	23,101	1,262	19,065	2,773
1.1	*მ.შ. მსუბუქი მანქანები*	2						24,150	1,262	20,114	2,773	23,101	1,262	19,065	2,773
1.2	*ჯიპები და პიკაპები*														
1.3	*სპეცმანქანა*	1													
2	მანქანა-დანადგარები და საოფისე ტექნიკა სულ	188	13	4	4	11	2								
2.1	*მობილური ტელეფონები*		*1*												
2.2	*ტელევიზორები*	*3*	*1*												
2.3	*კომპიუტერები*	*45*	*11*	*4*	*4*	*11*	*2*								

მინისტრი _____ თეიმურაზ მაისურაძე

მთავარი ბუღალტერი _____ თემურ ურიდია

№ 8

№ 8 აფხაზეთის სამსახური STATE AUDIT OFFICE OF ABKHAZIA

1. **ზოგადი ინფორმაცია**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციების, საქართველოსა და აფხაზეთის საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებისა და აფხაზეთის მთავრობის 2010 წლის 5 თებერვლის N6 დადგენილებით დამტკიცებული დებულებით.

სამინისტრო არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, მეცნიერების, კულტურის, კულტურული მემკვიდრეობის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სფეროებში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელი ორგანო. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში სამინისტრო ახორციელებს თავის დაქვემდებარებაში მყოფი ყოველი რგოლის საქმიანობის კოორდინაციას და კონტროლს.

სამინისტროს დაფინანსების წყაროა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი; მას, როგორც მხარჯავ დაწესებულებას, ბიუჯეტის კანონით მინიჭებული აქვს ორგანიზაციული კოდი (1032).

სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

- მინისტრის აპარატი (საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო);
- ადმინისტრაციულ და იურიდიულ საკითხთა დეპარტამენტი (იურიდიული, საქმისწარმოებისა და კადრების სამმართველო, მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველო);
- განათლების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი (განათლების სამმართველო, კულტურის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამმართველო, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამმართველო);
- პროგრამებისა და საინფორმაციო – ანალიტიკური დეპარტამენტი (პროგრამების, ანალიტიკური საქმიანობისა და კვლევების სამმართველო);
- შიდა აუდიტის სამსახური, საბიუჯეტო-საფინანსო და შესყიდვების სამსახური.

სამინისტროს ტერიტორიული ორგანოებია: გალის რაიონის და ზემო აფხაზეთის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრები;

სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებია (სსიპ): აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, აფხაზეთის მოზარდ–მაყურებელთა სახელმწიფო თეატრი - „თეთრი ტალღა“, სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, „აფხაზეთის სპორტული მომზადების ცენტრი“, კინოცენტრი - „აფხაზეთი“, „აფხაზეთის მოზარდ-ახალგაზრდობის შემოქმედებითი ცენტრი“.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2012 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ კანონით სამინისტროსათვის განსაზღვრული მომუშავეთა 55 შტატი სრულად იყო

დაკომპლექტებული. შტატგარეშე მომუშავეთა ფაქტობრივმა საერთო რიცხოვნებამ კი 8 ერთეული შეადგინა.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

სამინისტრო ხელმძღვანელობს საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ ბრძანებულებით დამტკიცებული დებულებით, ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ და სხვა მარეგულირებელი ნორმატიული აქტებით.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს ერთ წელს, რომელიც მთავრდება 31 დეკემბერს.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

წარმოდგენილი ბუღალტრული ანგარიშგების საანგარიშგებო ვალუტაა – ქართული ლარი.

უცხოური ვალუტით გამოსახული ნაკადების ღირებულება კონვერტირდება ეროვნული ვალუტით იმ თარიღისათვის მოქმედი ოფიციალური კურსით, როდესაც ამ ნაკადებს ჰქონდათ ადგილი.

3. მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით

11,041.00 ლარის ნარჩენი ღირებულების არაფინანსური აქტივები, რომლებიც წარმოადგენენ 2008 წლის 11 აგვისტოს რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის მხრიდან განხორციელებული აგრესიის შედეგად ოკუპირებულ (ზემო აფხაზეთის) ტერიტორიაზე დარჩენილ მატერიალურ ფასეულობებს.

4. ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები

ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები (ავტომანქანის საწვავის ტალონები) 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

დასახელება	01.01.2012	31.12.2012
მინისტრის მოადგილე	-	1,070
მძღოლი	-	1,045
ჯამი	-	2,115

სახელმწიფო აუდიტის სამსახური № 8 STATE AUDIT OFFICE OF GEORGIA

5. შენობა-ნაგებობები

ქ. თბილისში, უზნაზის ქ. N68-ში მდებარე შენობა-ნაგებობა N6 (საერთო ფართი-627 $მ^2$) და შენობა-ნაგებობა N8 (საერთო ფართი-1933 $მ^2$) და მასზედ წილობრივად დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელზეც განთავსებული იყო და ფუნქციონირებდა სამინისტრო, იურიდიულად მისი სარგებლობის უფლება სამინისტროს გადმოეცა აფხაზეთის ა.რ. ეკონომიკის სამინისტროს 10.01.2012 წლის N01/08 ბრძანების საფუძველზე 2012 წლის 10 იანვარს. აღნიშნული ქონება სამინისტროს ბალანზე აღირიცხა 233,972.00 ლარის ღირებულებით.

6. მივლინების ხარჯები

მივლინების მუხლით გაცემულია 14,870.00 ლარი. მათ შორის: მივლინება ქვეყნის შიგნით 1,790.00 ლარი და მივლინება ქვეყნის გარეთ - 13,080.00 ლარი. აქედან, სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობების სამმართველოს უფროსზე (თეონა ბიბლაია) ანაზღაურებულია 861.00 ლარი, რომელიც მინისტრის 10.07.2012 წლის N158/მ ბრძანებით მივლინებული იყო უკრაინის ქალაქ სიმფეროპოლში „არტეკის" საერთაშორისო საბავშვო ცენტრში, აფხაზეთიდან დევნილი ბავშვებისაგან შემდგარი ჯგუფის კოორდინაციის მიზნით, 2012 წლის 19 ივლისიდან 2012 წლის 02 აგვისტოს ჩათვლით. მივლინებულის კვებას უზრუნველყოფდა მომწვევი მხარე. სამინისტროს მიერ სრულადაა ანაზღაურებული დღიური ნორმა სულ 861.00 ლარი.

7. სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების განხორციელება

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2012 წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანით, სამინისტროს განსაზღვრული ჰქონდა 11 მიზნობრივი პროგრამის შესრულება, რომლებიც თავის მხრივ დაყოფილი იყო ქვეპროგრამებად; პროგრამები ძირითადად ითვალისწინებდა კულტურული, საგანმანათლებლო და სპორტული ღონისძიებების განხორციელებას.

2012 წლის სახელმწიფო პროგრამების შესრულებასთან დაკავშირებით მინისტრის მიერ დამტკიცებული იყო პროგრამები და ხარჯთაღრიცხვები; რიგი პროგრამებისათვის შეიქმნა კომისიები, რომელთა გადაწყვეტილებებით ხდებოდა თანხების მიზნობრივად ხარჯვა.

აღნიშნულ პროგრამებზე დაზუსტებული გეგმით განსაზღვრული იყო 585,780.00 ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა შეადგინა 580,398.00 ლარი.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
№ 8
STATE AUDIT OFFICE OF GEORGIA

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო

ბუღალტრული ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს

დაგეგმილი და შესრულებული პროგრამები:

ორგ. კოდი	პროგრამების (ქვეპროგრამების) დასახელება	დამტკ.	დაზუსტ.	საკასო	სხვაობა (4-3)	პროგრამის შესრულების პერიოდი (კვარტალი)	
						გეგმა	ფაქტი
1	2	3	4	5	6	7	8
60306	**განათლების ხელშეწყობის პროგრამა**	**46150**	**46150**	**45970**	**179,72**	**I-IV**	**I-IV**
1	ოკუპირებული ტერიტორიის აბიტურიენტთა მოსამზადებელი ცენტრი (ქ. ზუგდიდი)	7500	7500	7500	0	I-II	I-II
2	კარიერის დაგეგმვის, პროფესიული განათლებისა და სკოლებში სახელობო-შემოქმედებითი ინიციატივების ხელშეწყობა	4000	4000	3996	4	II-III-IV	II–IV
3	,,წარმატებული ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამა ''	6000	6000	6000	0	I-II	I-II
4	აფხაზეთის საჯარო სკოლებისა და ოკუპირებული ზონის სკოლების მატერიალურ-ტექნიკური დახმარების პროგრამა	5730	5730	5729	1	II-III-IV	II-IV
5	სასკოლო სახემძღვანელოებით დახმარების პროგრამა სოციალურად დაუცველი მოსწავლეებისათვის	1420	1420	1417,8	2,2	III-IV	IV
6	,,ინკლუზიური განათლება: შემეცნებით-საგანმანათლებლო პროგრამები შშმ მოზარდებისათვის"	4000	4000	3869,9	130,1	III	III-IV
7	ინოვაციური პედაგოგი	1500	1500	1499,9	0,13	III-IV	IV
8	,,წლის მოსწავლე"	1500	1500	1463	37	II	II
9	სამინისტროს წლიური ანგარიში	2000	2000	2000	0	I	I
10	,,მწიგნობართა კლუბი"	2500	2500	2494,7	5,29	I-IV	I-IV
11	სამშვიდობო საზაფხულო ბანაკი		10000	10000	0	III	III
12	ტრენინგები საბუნისმეტყველო საგნების (ფიზიკა,ქიმია) მასწავლებლებისათის	10000	0	0	0	0	არ შესრულ
60303	**კულტურულ ღონისძიებათა მხარდაჭერის პროგრამა**	**49750**	**53750**	**53614**	**136,3**		
1	,,აფხაზეთის კომპოზიტორის მიერ შექმნილი ქალაქური სიმღერების სტუდიური აუდიო ჩაწერა“	0	1585	1585	0	IV	IV
2	კრებულის ,,გალაქტიონი და აფხაზეთი" გამოცემა	0	4620	4619,6	0,4	II	II

№ 8 STATE AUDIT OFFICE OF GEORGIA

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო

ბუღალტრული ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს

3	ვებ-გვერდის განახლება და მისი ხარჯები	185	185	185	0	III	III-IV
4	აფხაზეთის ომში დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება	2500	2500	2485,2	14,8	III	III-IV
5	ქართულ აფხაზური ურთიერთობების საღამო"	15000	15017	15006	11	IV	IV
6	2013 წლის კალენდარი"აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობა"	0	3700	3700	0	IV	IV
7	საახალწლო ზეიმი დევნილი ბავშვებისათვის	5110	5393	5384,5	8,5	IV	IV
8	,,აფხაზური მითოლოგია"	4640	8900	8898	2	I	I-II
9	ხელოვანთა მხარდაჭერის პროგრამა- ,,სიმღერები აფხაზეთზე"	2000	0	0	0	II	არ შესრულ
10	გურამ ოდიშარიას წიგნის გამოცემა ,,დევნილთა უღელტეხილი	4880			0	II	არ შესრულ
11	`,, აფხაზეთის ფოლკლორული ტრადიციები"	3000			0	IV	არ შესრულ
60312	**სამშვიდობო და სამოქალაქო განათლების მხარდაჭერის პროგრამა**	**22700**	**22700**	**20845**	**1854,7**		
1	,,საქართველოს სახელმწიფო ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება დედაენის დღე - 14 აპრილი	1239	1239	1182,6	56,4	I-II	I-II
2	ავიმაღლოთ კვალიფიკაცია	3473	3473	3416,4	56,6	III-IV	III-IV
3	აფხაზეთის მოზარდთა ლიდერობის ტრენინგ-პროგრამა	5387	5387	5306,4	80,6	IV	III-IV
4	აფხაზეთის მოზარდთა კონფერენცია- აფხაზეთის საზოგადო მოღვაწეები	710	710	696,6	13,4	IV	IV
5	,,ინტელექტუალური განვითარების ხელშეწყობა (რა? სად?როდის?" - გაზაფხულის სეზონი)"	2673	2673	2619	54	I	I
6	,,ინტელექტუალური განვითარების ხელშეწყობა (რა? სად? როდის? - შემოდგომის სეზონი)	2673	2673	2648	25	IV	IV
7	ახალგაზრდებში სოფლის მეურნეობის დარგების პოპულარიზაცია-რთველი.	692,5	692,5	668	24,5	III-IV	III-IV
8	,,საბავშვო არქოლოგია"	669	669	616,3	52,7	II	II
9	,,აფხაზეთის მოზარდთა საზოგადოებასთან ინტეგრაციის ხელშეწყობა - 1ივნისი - ბავშვთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღე"	1154	1154	1094,4	59,6	II	II
10	,,მე მიყვარს აფხაზური"	2055	2054,5	744,4	1310,1	II	II
11	საქართველო ევროინტეგრაციის გზაზე - კრწანისის სასწავლო ცენტრის გაცნობა.	225	225	222,6	2,4	II	II
12	ევროინტეგრაციის გზაზე - სენაკის სამხედრო ბაზის გაცნობა	300	300	300	0	IV	IV

№ 8 STATE AUDIT OFFICE OF GEORGIA

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო

ბუღალტრული ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს

13	,,პოლიცია და სამოქალაქო საზოგადოება"	550	550	545,2	4,8	II-IV	II-IV
14	კონკურსი ,,წლის საუკეთესო თხზულება“	900	900	785,4	114,6	II	II
60301	**სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერის პროგრამა**	**20960**	**20960**	**19821**	**1138,8**		
1	სპორტულ ინიციატივათა მხარდაჭერის პროგრამა	5832	5127	4680,2	446,8	I-II-III-IV	I-IV
2	აფხაზეთის ღია პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში	4406	4406	4105,6	300,4	II	II
3	აფხაზეთის ღია პირველობა ჭადრაკში	1580	1580	1514,5	65,5	IV	IV
4	აფხაზეთის ღია საერთაშორისო ტურნირი ფარიკაობაში	2078	2078	1892,4	185,6	I	I
5	აფხაზეთის ღია პირველობა მინი-ფეხბურთში (ზუგდიდი)	2597	2597	2463	134	III	III
6	მინისტერიალი 2012 აფხაზეთის სამინისტროებს შორის	2827	2477	2477	0	I	II
7	სპორტულ-მასობრივი ღონისძიება კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილთა შორის მინი- ფეხბურთში	0	1640	1633,5	6,5	III	IV
8	აფხაზეთის გუნდების მონაწილეობა ,,საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს თასზე" მინი-ფეხბურთში	0	1055	1055	0	II	II
9	მწვრთნელ პედაგოგთა ტრენინგ სემინარი	1640	0	0	0	III	არ შესრულ
60304	**საინფორმაციო უზრუნველყოფის მხარდაჭერის პროგრამა**	**250000**	**250000**	**249300**	**700**	**I-IV**	**I-IV**
60307	**გალის რაიონის სკოლამდელი აღზრდისა და სახელოვნებო სკოლების ფინანსური დახმარების პროგრამა**	**97440**	**97440**	**97440**	**0**	**I-IV**	**I-IV**
60308	**აფხაზეთის მეცნიერებათა მხარდაჭერის პროგრამა**	**40000**	**36000**	**35987**	**12,75**	**II–IV**	**II-IV**
60809	**ხელოვნებისა და სპორტული ნიჭით დაჯილდოებული დევნილი ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამა**	**51000**	**51000**	**49920**	**1080**	**I-IV**	**I-IV**
60310	**შარვაშიძის სახელობის პრემია**		**3000**	**3000**	**0**	**I**	**I**
69311	**,,ახალგაზრდულ ინიციატივათა მხარდაჭერა"**	**4780**	**4780**	**4500**	**280**	**II-III**	**II-III**

განხორციელებული სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამები:

– **განათლების ხელშეწყობის პროგრამა**

განათლების მხარდაჭერის პროგრამის ძირითად მიმართულებასა და მიზანს წარმოადგენდა აფხაზეთის საჯარო სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, მოსწავლე-ახალგაზრდობის განათლების ხარისხისა და მათი კონკურენტუნარიანობის გაზრდის ხელშემწყობი პროგრამების განხორციელება, მათ შორის ოკუპირებული ტერიტორიის მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის. პროგრამების განხორციელებას ხელი უნდა შეეწყო აფხაზეთიდან დევნილი ნიჭიერი ახალგაზრდების განათლებასა და მათ წარმოჩენას, მათ საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესს და სხვ.

– **კულტურულ ღონისძიებათა მხარდაჭერის პროგრამა**

პრიორიტეტი ემსახურებოდა ქვეყანაში არსებული აფხაზეთის შემოქმედებითი რესურსებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგის დაცვას, განვითარებას, პოპულარიზაციას, მათ სამშვიდობო როლის წარმოჩენას, აფხაზეთისა და საქართველოს შემოქმედებით ორგანიზაციებს შორის ტრადიციული კულტურული კავშირების აღდგენას, აფხაზეთის მოსახლეობისათვის სახელოვნებო ცხოვრების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, ხელოვნების სფეროში თავისუფალი, დაცული და კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას, სახელოვნებო დაწესებულებების შედეგზე ორიენტირებული სამოქმედო პროგრამების ადეკვატურ დაფინანსებას, მათ მხარდაჭერაში არასახელმწიფო სექტორის როლის ზრდის ხელშეწყობას.

– **სამშვიდობო და სამოქალაქო განათლების მხარდაჭერის პროგრამა**

პრიორიტეტი ემსახურებოდა მომავალი თაობის სამშვიდობო ხედვებით აღზრდას, რათა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ ახალგაზრდებს მიცემოდათ საშუალება გამოევლინათ ინტელექტუალური და ფიზიკური შესაძლებლობები.

– **სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერის პროგრამა**

პრიორიტეტის ძირითადი მიზანი იყო ევროპის 2015 წლის ოლიმპიური ფესტივალისათვის მზადება, ისეთი სპორტული ღონისძიებების ჩატარება, რომლებიც დევნილ მოსახლეობაში ხელს შეუწყობდა სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაციას, პერსპექტიული ახალგაზრდების გამოვლენას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვასა და პოლულარიზაციას. კონკრეტულ მიზანს კი შეადგენდა: სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარების ხარისხის ამაღლება, ახალგაზრდა თაობის დაინტერესებას და ჩაბმას ფიზიკურ აქტივობებში.

– **საინფორმაციო უზრუნველყოფის მხარდაჭერის პროგრამა**

პროგრამის მიზანი იყო რადიომაუწყებლობის რეჟიმში აფხაზეთის თემაზე ორიენტირებული საკითხების წარმოჩენა. მაუწყებლობა ხელმისაწვდომი იყო საქართველოს მოსახლეობისათვის (მათ შორის აფხაზეთის ტერიტორიაზე). მზადდებოდა საგანმანათლებლო და ანალიტიკური სახის პროგრამები, შემეცნებითი და გასართობი გადაცემები. ღია ეთერში იმართებოდა დისკუსიები და ფორუმები.

№ 8
STATE AUDIT OFFICE OF GEORGIA

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრის 03.01.2012 წლის N07/ფ ბრძანებით დამტკიცდა „საინფორმაციო უზრუნველყოფის მხარდაჭერის პროგრამა". ბრძანების გამოცემის საფუძველს წარმოადგენდა „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2012 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ" კანონით აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროსთვის განსაზღვრული „აფხაზეთის მოსახლეობის საინფორმაციო უზრუნველყოფის მხარდაჭერის პროგრამა", რომლის ბიუჯეტი შეადგენდა 250,000.00 (ორას ორმოცდაათ ათას) ლარს. აღნიშნული პროგრამის მიზანი იყო რადიომაუწყებლობის რეჟიმში აფხაზეთის თემაზე ორიენტირებული საკითხების წარმოჩენა და მათი მიწოდება ოკუპირებულ ტერიტორიაზე (აფხაზეთი) მცხოვრები მოსახლეობისათვის. ამისათვის, საჭირო იყო ისეთი რადიომაუწყებლის შერჩევა, რომელსაც ექნებოდა შესაბამისი გამოცდილება, თავისუფლად შეძლებდა რუსულ ენაზე საინფორმაციო და შემეცნებითი გადაცემების მომზადებას. ძირითადი მოთხოვნა კი იყო რადიოტალღების აფხაზეთის უმეტეს ტერიტორიაზე გავრცელება.

სამინისტროს მუშაობის გამოცდილებიდან გამომდინარე, ზემოთაღნიშნული პროგრამის მიზნების განსახორციელებლად 2012 წელს შერჩეულ იქნა ა(ა)იპ მედია-ცენტრი „ღია აფხაზეთისათვის", რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა რადიო „აფხაზეთის ხმა". სამინისტრო მედიაცენტრთან თანამშრომლობდა 2007 წლიდან.

2012 წელს სამინისტროს მიერ მიღებულ იქნა გადწყვეტილება, „საინფორმაციო უზრუნველყოფის მხარდაჭერის" პროგრამა განხორციელებულიყო ა(ა)იპ მედია-ცენტრი „ღია აფხაზეთისათვის" მიერ, რომლის გადაცემები რადიო „აფხაზეთის ხმის" მეშვეობით ვრცელდებოდა საქართველოს და ოკუპირებული აფხაზეთის უმეტეს ტერიტორიაზე, ასევე ჰქონდა რუსულენოვანი გადაცემების წარმოების რესურსი.

პროგრამის კოორდინატორი (განათლების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსი) სისტემატიურად ახორციელებდა პროგრამის შესრულების მონიტორინგს, რაც ასახვას ჰპოვებდა მის ანგარიშებში. სამინისტროში წარმოდგენილია გადაცემათა ციკლის ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული ყოველთვიური ბადე და ეთერში გასულ გადაცემათა აუდიო ჩანაწერები.

2012 წელს სამინისტროსა და მედიაცენტრს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე რადიოეთერში გადიოდა შემდეგი რუბრიკები: აფხაზეთის ტრადიციები, მონატრებული სანაპირო, ლექსად გამოთქმული სიყვარული, აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობა, მოგზაურობა აფხაზეთში, „ქრონიკა ნედელი" (Хроника Недели) და სხვ.

- **გალის რაიონის სკოლამდელი აღზრდისა და სახელოვნებო სკოლების ფინანსური დახმარების პროგრამა**

პროგრამის მიზანი იყო საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, კერძოდ, გალის რაიონში მცხოვრები სკოლამდელი აღზრდისა და სახელოვნებო სკოლების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური მხარდაჭერა.

№ 8
STATE AUDIT OFFICE OF

პროგრამის ფარგლებში, გალის რესურსცენტრის მიერ მოწოდებული იყო დოკუმენტაცია გალის რაიონის ექვსი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისა და თითო-თითო მუსიკალური და სამხატვრო სკოლების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის დასაფინანსებლად; ფაქტიურად ყოველკვარტალურად დაფინანსდა 88 გალის რაიონის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების, მუსიკალური და სამხატვრო სკოლების პედაგოგები და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი (პედაგოგები-კვარტალში 300 ლარი, ტექნიკური პერსონალი-კვარტალში 240 ლარი)

- **აფხაზეთის მეცნიერებათა მხარდაჭერის პროგრამა**

პროგრამის მიზანი იყო ხელი შეეწყო აფხაზეთიდან დევნილ და აფხაზეთის საკითხზე მომუშავე მეცნიერებისათვის თავიანთი შესაძლებლობების სრულად წარმოჩენაში, სრულფასოვანი სამეცნიერო კვლევების ჩატარებაში, ნაშრომების გამოცემაში, საზღვარგარეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და ლაბორატორიებში გამოცდილების მიღებაში, ამ მუშაობის შედეგების გამოქვეყნებაში.

- **ახალგაზრდულ ინიციატივათა მხარდაჭერის პროგრამა**

პროგრამის ფარგლებში, შესაბამისი კონკურსის საფუძველზე, სამინისტროს მიერ დაფინასდა საინიციატივო ჯგუფების მიერ შემოტანილი ორი პროექტი.

- **ხელოვნებისა და სპორტული ნიჭით დაჯილდოებული დევნილი ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამა**

პრიორიტეტი ემსახურებოდა აფხაზეთის მოსახლეობისათვის სახელოვნებო ცხოვრების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, ხელოვნების სფეროში თავისუფალი, დაცული და კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას, სახელოვნებო დაწესებულებების შედეგზე ორიენტირებული სამოქმედო პროგრამების ადეკვატურ დაფინანსებას, მათ მხარდაჭერაში არასახელმწიფო სექტორის როლის ზრდის ხელშეწყობას.
პროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენენ ა(ა)იპ ხელოვნების სკოლა ,,აფხაზეთი №1'', ა(ა)იპ ხელოვნების სკოლა ,,აფხაზეთი №2'', ა(ა)იპ ხელოვნების სამხატვრო სკოლა ,,აფხაზეთი №1"-ის აფხაზეთიდან დევნილი განსაკუთრებული ნიჭით გამორჩეული მოსწავლეები. ამ კატეგორიის მოსწავლეების სიის განსაზღვრას უზრუნველყოფდა შესაბამისი სკოლის დირექცია. პროგრამის ფარგლებში აფხაზეთის განთლებისა და კულტურის სამინისტრო აღნიშნულ ბენეფიციარებს, სკოლებთან გაფორმებული სათანადო ხელშეკრულებების საფუძველზე, უზრუნველყოფდა ყოველთვიური ფინანსური დახმარებით – სწავლის ქირის გადასახადით, რომელიც ჩაირიცხებოდა მათი სკოლების ანგარიშზე.

სამინისტრო პროგრამების შესრულებას ახორციელებდა წინასწარ განსაზღვრული და დამტკიცებული წლიური გეგმის შესაბამისად. 2012 წლის განმავლობაში სამინისტროს მიერ შეწყვეტილ იქნა და არ შესრულდა ან ნაწილობრივ არის შესრულებული შემდეგი პროგრამები:

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
№ 8
STATE AUDIT OFFICE OF GEORGIA

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო

ბუღალტრული ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს

პროგრამების დასახელება	დამტკიცებული	დაზუსტებული	საკასო	სხვაობა (4-3)	სამინისტროს მონაცემებით პროგრამის გაუქმების ან შეუსრულებლობის მიზეზები
1	2	3	4	5	6
ტრენინგები საბუნისმეტყველო საგნების (ფიზიკა, ქიმია) მასწავლებლებისათის	10,000	0	0	0	2012 წელს რეგიონებში ფუნქციონირება დაიწყო ,,მასწავლებელთა სახლმა", სადაც პედაგოგები უფასოდ იღებენ სატრენინგო მომსახურებას საჭიროების მიხედვით
ხელოვანთა მხარდაჭერის პროგრამა-„სიმღერები აფხაზეთზე"	2,000	0	0	0	ტენდერის წესით გამოვლენილმა ინდ. მეწარმემ ,,დავით თანდაშვილი"ვერ უზრუნველყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულება, რაზეც წერილობით აცნობა სამინისტროს (წერ.N368;26.06.12). შემდეგ საბაზრო ფასების მკვეთრმა მატებამ ბეჭდვით მომსახურებაზე განმეორებითი ტენდერის ჩატარება მიზანშეუწონელი გახადა
გურამ ოდიშარიას წიგნის გამოცემა „დევნილთა უღელტეხილი"	4,880	0	0	0	აღნიშნული წიგნის გამოცემა არ შედგა მწერლის პირადი სიტყვიერი მომართვის საფუძველზე, რადგან დროულად ვერ წარმოადგინა ნაწარმოების ინგლისურ/რუსულ ენებზე თარგმანი და მისი კორექტირებული ვარიანტი
„აფხაზეთის ფოლკლორული ტრადიციები"	3,000	0	0	0	მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ქვეპროგრამაში განსახორციელებელი აქტივობების ,,აფხაზეთობა-2012"-ის ფარგლებში ჩატარება
„მემიყვარსაფხაზური"	2,054	2,054	744	1,310	ქვეპროგრამაშესრულდანაწილობრივ, ვინაიდანპროექტისფარგლებშიგათვალისწინებულიიყოაფ ხაზურიენისმასწავლებლისმომსახურება. გამოცხადდატენდერი (3-ჯერ)მასწავლებლისმომსახურებასთანდაკავშირებით, რომელიცარშედგა
მწვრთნელპედაგოგთატრენინგსემი ნარი	1,640	0	0	0	საქართველოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ 2012-2016 წლების სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული სპორტის განათლების ტრენინგ-სემინარის ჩატარების გამო დუბლირების თავიდან აცილება
ჯამი	**23,574**	**2,054**	**744**	**1,310**	**X**

ცვლილებების შედეგად ზემოაღნიშნული აუთვისებელი თანხები გადანაწილდა სხვა პროგრამებში.

აუდიტორი:
გიორგი ფრუიძე

ასისტენტ-აუდიტორი:
ნაია ხოფერია

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში
სახელმწიფო აუდიტის დეპარტამენტი
10 მაისი 2013 წელი
ქ. თბილისი

№ 8
STATE AUDIT OFFICE OF GEORGIA